ქ. გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

ქ. გურჯაანი რუსთაველის ქ. №4; საიდენტიფიკაციო ნომერი: 227719261; საფოსტო ინდექსი: 1500; ტელ: 8 253 2 31 23

MES 3 15 00322100

27/04/2015

საჯარო სკოლის დირექტორს

გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრი თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, რომ საჯარო სკოლამ, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 05/02/2015წ. N80277 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობების ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელონ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შენობის დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა ეტაპი და საორგანიზაციო საკითხები უნდა შეთანხმდეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

პატივისცემით,

ქალაქ გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსი დალი მინდიაშვილი